



## გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია სსიპ-ქ.გორის  
ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო  
კოლეჯის დირექტორის  
ბრძანებით N1/59, 24.07.2020წ.  
ცვლილება შესულია:  
ბრძანებით N1/41, 12.07.2021წ.  
ცვლილება შესულია:  
ბრძანებით 1/62. 06.09.2021წ.  
ცვლილება შესულია:  
ბრძანებით N1/41 §5 07.06..2022წ.  
ცვლილება შესულია:  
ბრძანებით N1/82 §1 13.10.2022წ.  
ცვლილება შესულია:  
ბრძანებით N1/48 §1 15.08.2023წ.  
ცვლილება შესულია:  
ბრძანებით N1/51 §1 02.10.2023წ.  
ცვლილება შესულია:  
ბრძანებით N1/34, 20.06.2024წ.

სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიულ  
საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანების საფუძველზე და არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის (შემდგომში - „კოლეჯი“) სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურას და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობებს და წესებს.

## **მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება**

1. პროფესიული განათლების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის დაფინანსება ხორციელდება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. სასწავლო პროცესის ვაუჩერული დაფინანსება რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით.

## **მუხლი 3. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება**

1. დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, მიმართვის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია დაინტერესებულ პირს:

ა) გააცნოს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები;

ბ) მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;

გ) მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს რეგისტრაციაში.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, კოლეჯი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმხორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის დაუშვებელია საფასურის დადგენა.

4. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მიმართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში.

## **მუხლი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები**

1. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
- ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
- გ) შერჩევა;
- დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
- ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
- ვ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

### **მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები**

სამუსიკო მიმართულების უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლება.

### **მუხლი 6. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება და მიღების გამოცხადება**

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, კოლეჯი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.
2. ანკეტა-კითხვარი წარმოადგენს კოლეჯის მიერ მიღების გამოცხადების მიზნით შექმნილ მოდულს, რომელშიც აისახება ინფორმაცია კოლეჯის, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ. ანკეტა-კითხვარი არის აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილი სარეგისტრაციო სისტემის ინფორმაციის წყარო. ანკეტა-კითხვარის ფორმა მტკიცდება მართვის სისტემის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. კოლეჯის და მისი პროგრამების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მართვის სისტემისთვის მიწოდებული მონაცემები, რომლებიც აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ხოლო ამავე სისტემაში კოლეჯის მიერ შევსებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია თავად კოლეჯი.
4. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:
  - ა) კოლეჯისათვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;
  - ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით

დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

## **მუხლი 7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა**

### **სტუდენტის სტატუსის მოპოვება**

1. პირს, სრული ზოგადი განათლების საფეხურის დაძლევის, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების (შემოქმედებითი ტური) დაკმაყოფილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დადგენილი წესით, უფლება აქვს ჩარიცხოს კოლეჯში, მიიღოს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

2. კოლეჯში ჩარიცხვის უფლების რეალიზების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2019 წლის 10 აპრილის N 69/ნ ბრძანების, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანების საფუძველზე, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებს კონსულტაციებით მთელი წლის განმავლობაში, მიმართვის შესაბამისად: პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების; კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ, პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში მსურველებს ეხმარება რეგისტრაციაში.

3. გარდა ამ მუხლის მე-2-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, კოლეჯი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველები, გაივლიან ავტორიზაციას და რეგისტრირდებიან ელექტრონული ონლაინ სისტემით ([vet.emis.ge](http://vet.emis.ge)):

4.1 რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტასა და მობილური ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით. შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით;

4.2 აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში;

4.3 რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს 3 სასურველი პროგრამა.

4.4 აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის ამ მუხლის 4.2- პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში;

4.5 რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი;

4.6 უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მართვის სისტემა იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

5. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას უმაღლეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე.

6. ჩარიცხვის უფლება აქვს სპეციალური საგანმანათლებლოს საჭიროების მქონე აპლიკანტს, რისთვისაც მიღების გამოცხადების დროს კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში განსაზღვროს სსსმ აპლიკანტებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა არაა 7-ზე ნაკლები, ხოლო მიღებული ციფრი მრგვალდება ქვედა ზღვართან(მაგ: 15% არის 1,9 ადგილი იქნება 1-თი).

## **მუხლი 8. ხელოვნების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვის თავისებურებანი**

1. კოლეჯის სამუსიკო სფეროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლების მოპოვება ხდება შესაბამისი კონკურსის (შემოქმედებითი ტურის) საფუძველზე, კოლეჯის მიერ დადგენილ შემოქმედებით ტურებში აპლიკანტის მიერ მიღებული შედეგის გათვალისწინებით.

2. კოლეჯის დირექტორი კონკურსის (შემოქმედებითი ტურის) დაწყებამდე განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი დოკუმენტაციის ნუსხას. აღნიშნული დოკუმენტაციის კოლეჯში წარდგენის ვადები განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

3. კოლეჯის მიერ კონკურსის (შემოქმედებითი ტურის) ჩატარების ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/5 ბრძანებით დამტკიცებული წესით დადგენილი ვადები.

4. კონკურსის (შემოქმედებითი ტურის) ჩატარების ვადის განსაზღვრისას კოლეჯმა შესაძლებელია გაითვალისწინოს რეგისტრაციის დასრულებამდე პერიოდიც იმ დათქმით, რომ ყველა აპლიკანტს ექნება კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა.

5. კოლეჯი შემოქმედებითი ტურის ჩატარებიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით ქმნის და ამტკიცებს აპლიკანტთა რეიტინგულ სიებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.

6. კოლეჯი შემოქმედებითი ტურის ჩატარებიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით ქმნის და ამტკიცებს აპლიკანტთა რეიტინგულ სიებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ რეიტინგულ სიებში აპლიკანტების განაწილება ხდება რეგისტრაციისას მათ მიერ არჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და აპლიკანტის მიერ მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე.

### **მუხლი 9. შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები**

1. ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პიანისტ-აკომპანიატორი-0215.3.1:

კლასიკური მუსიკის ორი ნებისმიერი ფორმის ნაწარმოების შესრულება ფორტეპიანოზე ;

მუსიკის თეორიაში ელემენტარული უნარ-ჩვევების დადასტურება: კარნახის ჩაწერა;

სმენითი ანალიზი; ფურცლიდან კითხვა.

2. ბ) მუსიკის რეპეტიტორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-0215.3.1:

მუსიკის თეორია: კარნახის ჩაწერა;

სმენითი ანალიზი; ფურცლიდან კითხვა;

პროფესიული მუსიკის ნიმუშების გამოცნობა.

3. შემოქმედებითი ტურების მოთხოვნებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წარდგენის საფუძველზე ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი და ქვეყნდება კოლეჯის ვებ-გვერდზე.

4. შემოქმედებითი ტურის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. უარყოფითი შეფასებაა 050 ქულის ჩათვლით. დადებითი შეფასებაა 51 ქულიდან ზემოთ.

5. კოლეჯი ვალდებულია, შემოქმედებითი ტურის შედეგები ტესტირების ჩატარებიდან არაუგვიანეს ორი დღის განმავლობაში ასახოს მართვის სისტემაში ელექტრონული ფორმით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის დასახელება;

გ) აპლიკანტის პირადი ნომერი;

დ) კონკურსზე (შემოქმედებითი ტური) მიღებული ქულა;

ე) ცენტრის მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.

#### **მუხლი 10. შემოქმედებითი ტურების შედეგების გასაჩივრება**

1. კოლეჯში ფუნქციონირებს სააპელაციო კომისია. აპლიკანტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია ყველა სადაო და გასარკვევ საკითხზე მიმართოს კომისიას.
2. სააპელაციო კომისია იქმნება და მისი ფუნქციები განისაზღვრება დირექტორის მიერ.
3. შემოქმედებითი ტურების შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო კომისიაში.
4. გასაჩივრება ხდება შემოქმედებითი ტურის შედეგების გამოცხადებიდან 1 დღის განმავლობაში
5. განხილვას ექვემდებარება წერილობითი სახით შეტანილი სააპელაციო განაცხადი. განაცხადის შეტანის უფლება აქვს შემოქმედებით ტურში მონაწილე პირს ან მის კანონიერ წარმომადგენელს.
6. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეცვალოს საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ შეფასება არაობიექტურია.
7. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ცხადდება კოლეჯში სააპელაციო განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 2 დღისა.
8. შემოქმედებით ტურში მონაწილე პირს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივროს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 11. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვაზე უფლებამოსილი პირი**

1. პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირის კოლეჯში ჩარიცხვას წინამდებარე წესისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით აწარმოებს ამავე კოლეჯის ხელმძღვანელი.
2. კოლეჯის ხელმძღვანელი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, აცხადებს აპლიკანტთა მიღებას, გამოსცემს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს მისაღები პროგრამების, პროგრამებზე მისაღები ადგილების რაოდენობის, მათ შორის სსსმ პირების მისაღები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ და რეესტრის სპეციალისტის მეშვეობით ავსებს ანკეტა-კითხვარს.

3. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მისაღებ აპლიკანტთა რაოდენობის არანაკლებ 15%-ით განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის.

## **მუხლი 12. შემოქმედებითი ტურების ორგანიზებასა და შეფასებაზე უფლებამოსილი ორგანოები**

1. კოლეჯის ხელმძღვანელი, მიღების გამოცხადების შემდეგ, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, აპლიკანტთა კონსულტაციისა და მიმართვის შემთხვევაში რეგისტრაციაში დახმარების, მიზნით ქმნის მიმღებ კომისიას, რომლის წევრები არიან ადმინისტრაციის თანამშრომლები, მათ შორის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

2. მიმღები კომისიის წევრთა რაოდენობა, შემადგენლობა და კონკრეტული უფლებამოვალეობები განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით კოლეჯის ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის შემოქმედებითი ტურებისა და სააპელაციო კომისიებს.

4. შემოქმედებით ტურებზე აპლიკანტთა შეფასებისათვის ყოველ პროგრამაზე იქმნება მხოლოდ ერთი საგნობრივი კომისია. კომისიების შემადგენლობას ამტკიცებს დირექტორი.

## **მუხლი 13. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე აპლიკანტის რეგისტრაცია**

1. ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე აპლიკანტი რეგისტრირდება ონლაინ ან დახმარებისათვის მიმართავს კოლეჯს.

2. სარეგისტრაციო ცენტრი რეგისტრაციას უზრუნველყოფს ცენტრის წარდგინებით სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში ელექტრონული ფორმით, სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

3. კოლეჯი ვალდებულია გამოყოს აპლიკანტთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი და შეასრულოს ცენტრისა და სამინისტროს თანამშრომლების მითითებები.



4. აპლიკანტთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი ხელმძღვანელობს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით.

#### **მუხლი 14. ჩარიცხვის საფუძველი**

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია:

1.1. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების წარმატებით გავლა, რაც აისახება ცენტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში;

1.2. შემოქმედებითი ტურის წარმატებით გავლა;

1.3. კოლეჯის მიერ წინასწარ დადგენილი დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენა;

2. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.

#### **მუხლი 15. კოლეჯში ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტები**

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა პირმა, ასევე არასრულწლოვანის შემთხვევაში, მისმა მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა კოლეჯს უნდა წარუდგინოს:

ა) აპლიკანტის ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის ატესტატი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის დამოწმებული ასლი.

დ) ორი ცალი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3/4-ზე;

ე) სრული ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან განათლების დამადასტურებელი ის დოკუმენტი/ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი განათლების მიღების გარეშე (დედანი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, ასლი

შესაძლებელია დამოწმდეს კოლეჯის იმ თანამშრომლის მიერ, ვინც განახორციელა შესაბამისი დოკუმენტის მიღება;

ვ) პირის (აპლიკანტის მიერ) უცხოეთში ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების მიღების შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ (დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ზ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში არ მოხდება შესაბამისი პირის პროგრამაზე ჩარიცხვა“.

2. კოლეჯი უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ.

## **მუხლი 16. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა**

1. კოლეჯის ხელმძღვანელი განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას. აღნიშნული დოკუმენტაციის კოლეჯში წარდგენის ვადები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან 2 დღის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული პროგრამის პირველად საფეხურზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან (ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ქმედუნაროა/შეზღუდულ ქმედუნარიანია, მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აპლიკანტის პროფესიული პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ.

3. კოლეჯის პროფესიულ პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის:

ა) 70% ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლება;

ბ) 30% ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.

4. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს კოლეჯი შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში ასახავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში.

**მუხლი 17. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსული, აზერბაიჯანული ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის გაგრძელება**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტზე შექმნილი მოდულური პროგრამებისათვის აპლიკანტს შეუძლია საგამოცდო ენად მიუთოს: რუსული, სომხური ან აზერბაიჯანული ენა.
2. ცენტრის მიერ ჩატარებული ტესტირების წარმატებით გავლისა და კოლეჯის დირექტორის სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტით სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ, პროგრამაზე სწავლას იწყებს მოდულებით, „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ რომელთა სწავლებაც მოდულური პროგრამების შესაბამისად ხორციელდება 21 კვირის მანძილზე.
3. ქართული ენის მოდულების დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და ის უფლებამოსილია:

ა) სწავლა განაგრძოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, დადგენილი წესის შესაბამისად, შემდგომი ტესტირების ფარგლებში ამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით, მის მიერ ჩატარებული ზოგადი უნარების ტესტისა და შემოქმედებითი ტურის შესატყვის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს სხვა დაწესებულებაში „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ზ ბრძანებით გათვალისწინებულ იმ პროფესიულ სპეციალიზაციაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, რომელზეც სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე;

დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გარდამავალი

(მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა არ აკლდება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მომდევნო მიღებისათვის დადგენილ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

5. პროფესიული სტუდენტის მიერ „ქართული ენის“ მოდულების სწავლის შედეგების დაუძლეველობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

6. პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით:

ა) შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე. კოლეჯი ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლეველობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა.ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ა.ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა.გ) ისარგებლოს გარე მობილობით, საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

ა.დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

## **მუხლი 18. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტების შემოქმედებითი ტურის გავლის თავისებურებები**

1. კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების განცხადებების მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პრაქტიკული მოსინჯვის მიზნით. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა კოლეჯში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ პირობებს;

ბ) სრული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის ატესტატი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის დამოწმებული ასლი.

გ) არასრულწლოვანი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) სრული ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან განათლების დამადასტურებელი ის დოკუმენტი/ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი განათლების მიღების გარეშე (დედანი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, ასლი შესაძლებელია დამოწმდეს კოლეჯის იმ თანამშრომლის მიერ, ვინც განახორციელა შესაბამისი დოკუმენტის მიღება;

ე) 2 ცალი ფერადი ფოტოსურათი ზომით  $\frac{3}{4}$ -ზე;

ვ) პირის მიერ უცხოეთში ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების მიღების შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ (დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი).

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პრაქტიკული მოსინჯვის ჩატარების ვადებს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პრაქტიკული მოსინჯვის ვადების განსაზღვრისას შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს რეგისტრაციის დასრულებამდე პერიოდიც იმ დათქმით, რომ ყველა აპლიკანტს ექნება პრაქტიკული მოსინჯვის გავლის შესაძლებლობა.

5. იმ შემთხვევაში თუ კოლეჯში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის განთავსდება საგამოცდო ცენტრი, ტესტირების ჩატარების უზრუნველსაყოფად კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უზრუნველყოფს:

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების განრიგს და ადგენს ტესტირების მაქსიმალურ ხანგრძლივობას;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის.

**მუხლი 19. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტთა პრაქტიკული მოსინჯვის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოები**

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტთა საბუთების მიღებისა და პრაქტიკული მოსინჯვის ორგანიზების მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება კომისია.
2. კომისიის რაოდენობა, შემადგენლობა და კონკრეტული უფლებამოვალეობები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პრაქტიკული მოსინჯვის შეფასებისათვის ყოველ პროგრამაზე იქმნება მხოლოდ ერთი საგნობრივი კომისია, რომლის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი.

**მუხლი 20. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა**

1. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის ვადებს.
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები კოლეჯში ირიცხებიან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში.
3. კოლეჯი განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ პრაქტიკული მოსინჯვის შედეგების საფუძველზე.
4. იმ პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი გადის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ შერჩევას..
5. 2024 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა განხორციელდეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის

N42/5 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით, აღნიშნული ეტაპებისთვის განსაზღვრულ ვადებში. ამასთან, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შერჩევა წარიმართოს კოლეჯის მიერ დადგენილი წესით, პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.

6. 2024 წელს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პრაქტიკული მოსინჯვის ვადების განსაზღვრისას, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს რეგისტრაციის დასრულებამდე პერიოდიც, იმ დათქმით, რომ ყველა აპლიკანტს ექნება პრაქტიკული მოსინჯვის გავლის შესაძლებლობა.

7. 2024 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის მიზნით, მულტიდისციპლინური გუნდი, მიმართვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსით რეგისტრირებული აპლიკანტის შეფასებას, ამ აპლიკანტის შეფასების დასკვნის მომზადებას და სარეგისტრაციო სისტემაში დასკვნის განთავსებას, რომლითაც დასტურდება აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა ასევე მიეწოდება შეფასებულ პირს/მის კანონიერ წარმომადგენელს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების შედეგი (სტატუსის მინიჭება ან მინიჭებაზე უარი) აისახება სარეგისტრაციო სისტემაში.

9. 2024 წელს, პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით შეფასება არ ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ უკვე არსებობს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა, რომლის მომზადებიდან არ გასულა 3 წელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აპლიკანტი/აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი ითხოვს განმეორებით შეფასებას ან მულტიდისციპლინური გუნდი საჭიროდ მიიჩნევს განმეორებით შეფასებას. თუ ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში არ ხდება აპლიკანტის განმეორებითი შეფასება, გამოყენებული უნდა იქნეს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისთვის განსაზღვრული წესით შედგენილი ბოლო დასკვნა.

10. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, 2024 წელს გამოცხადებული მიღების ფარგლებში რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, შედეგების აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და კოლეჯში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის განსაზღვრულ დოკუმენტებს.

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, თავისუფალი ადგილების გამოცხადება ხორციელდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/5 ბრძანებით დამტკიცებული წესის 26-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად. აპლიკანტი, რომელიც ვერ ჩაირიცხა მის მიერ არჩეულ პროგრამაზე, უფლებამოსილია საქართველოს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს არაუმეტეს 3 პროგრამა. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს აპლიკანტთა შერჩევა პრაქტიკული მოსინჯვის გზით, თუ მითითებულ პროგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტს შერჩევის ეტაპი არ გაუვლია. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით გამოცხადებული მიღების ფარგლებში, რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, შედეგების აპლიკანტისათვის ხელმწიასწვდომობის შემდეგ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და კოლეჯში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის განსაზღვრულ დოკუმენტებს. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

## **მუხლი 21. სამხედრო აღრიცხვასთან დაკავშირებით კოლეჯის ვალდებულებები**

1. კოლეჯი ვალდებულია წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის შესახებ შეტყობინება დაუყოვნებლივ გადასცეს კოლეჯში რეგისტრირებულ/ჩარიცხულ პირს.
2. კოლეჯი ვალდებულია 17 წელს მიღწეული პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე არ ჩარიცხოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
3. კოლეჯი ვალდებულია წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის უფლებამოსილების მქონე სუბიექტს 10 დღის ვადაში შეატყობინოს იმ წვევამდელის სამხედრო აღრიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტში შესატანი მონაცემები, რომელიც კოლეჯში სწავლობს.
4. კოლეჯი ვალდებულია სამხედრო აღრიცხვის განმახორციელებელ სუბიექტს 10 დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამისი პირის სამოქალაქო და სამხედრო განათლების, პროფესიისა და სპეციალობის შესახებ.

## **მუხლი 22. გარდამავალი დებულებანი**

1. ტესტირებიდან თავისუფლდება ის პირი, რომელიც დარეგისტრირდა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ტესტირებისთვის დადგენილ ვადაში ახალი კორონავირუსის (COVID 19) -ის გავრცელების პირობებში ვერ ახერხებს გამოცხადებას შემდეგი მიზეზის გამო: იმყოფება:



ა) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე;

ბ) საკარანტინო სივრცეში/თვითიზოლაციაში;

გ) საკარანტინო ზონაში;

დ) ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

ე) სამკურნალო დაწესებულებაში/იზოლაციაში ახალი კორონავირუსის (COVID -19) - ის დადასტურების გამო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა დასაბუთებული განცხადებით უნდა მიმართოს სამინისტროს, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში.

3. ამავე მიზეზებით შემოქმედებით ტურზე გამოუცხადებლობის გამო კოლეჯმა შესაძლებელია, დანიშნოს ახალი თარიღი, ან აპლიკანტის პირობების გათვალისწინებით, უზრუნველყოს ტურის ონლაინ ჩატარება;

4. ამ მუხლით გათვალისწინებული პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირებაზე გასვლის გარეშე ჩარიცხვის თაობაზე, შესაბამისი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირებაზე გასვლის გარეშე ჩარიცხული პირები არ აისახებიან ამ წესის რეიტინგულ სიაში. მათი ჩარიცხვა მოხდება რეიტინგულ სიაზე დამატებით.